

შპს „არქთრეიდი“

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა - განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „არქთრეიდი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „არქთრეიდი“-ს (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნულ თარიღში დამთავრებული მოგება/ზარალისა და სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველის“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ ჩაუტარებია მარაგების ინვენტარიზაცია 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში, ფიზიკურ კონდიციასა და შეფასებაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 10,191,608 ლარს და 4,150,315 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვაგვარად ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, მმართველობის ანგარიშგების გარკვეული

ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, მმართველობის ანგარიშგება შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია მისთვის განსაზღვრულ მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების

განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება, არის ზვიად ბალახაშვილი.

ზვიად ბალახაშვილი
მპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

30 სექტემბერი, 2025 წ.
თბილისი, საქართველო

- განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე
 - ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
 - დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალდება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
 - ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება, არის ზვიად ბალახაშვილი.

ზვიად ბალახაშვილი
შპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

30 სექტემბერი, 2025 წ.
თბილისი, საქართველო



შპს „არქთრეიდი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,113,051	3,178,221
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	888,069	445,257
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		630	630
არამატერიალური აქტივები		3,787	6,410
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,005,537	3,630,519
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	6	2,065,915	8,707
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2,194,696	2,574,653
გადახდილი ავანსები	8	7,865,101	1,556,100
მარაგები	9	10,191,608	4,150,315
გაცემული სესხი	10	533,292	80,000
სულ მიმდინარე აქტივები		22,850,611	8,369,775
სულ აქტივები		26,856,149	12,000,294
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		250,421	68,044
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		250,421	68,044
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,119,971	1,174,924
მიღებული ავანსები	14	20,087,711	6,200,316
გადასახდელი ხელფასები		46,754	81,835
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	12	677,229	2,187,367
საგადასახადო ვალდებულება	15	935,255	872,990
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		34,848	52,850
სულ მიმდინარე ვალდებულებები		24,901,768	10,570,282
სულ ვალდებულებები		25,152,189	10,638,326
საწესდებო კაპიტალი			
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	11	1,661,802	1,484,400
		42,158	(122,431)
სულ კაპიტალი		1,703,960	1,361,968
სულ კაპიტალი და ვალდებულება		26,856,149	12,000,294

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი:

მიხეილ კალანდაძე

მთავარი ბუღალტერი:

ლია სუბელიანი

გვერდებზე 10-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

შპს „არქიტრედი“
მოგება/ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი	16	26,319,241	21,632,423
თვითღირებულება	17	(22,991,317)	(18,973,780)
საერთო მოგება		3,327,924	2,658,642
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	18	(2,945,491)	(2,514,654)
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი		(48,737)	-
სხვა შემოსავალი	19	290,079	280,734
ფინანსური ხარჯი		(439,573)	(245,788)
ფინანსური შემოსავალი		85,641	146,325
არასაოპერაციო ხარჯი		(57,012)	(138,359)
არასაოპერაციო შემოსავალი		86,916	119,277
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(135,157)	(81,088)
წმინდა მოგება		164,591	225,089

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი:

მიხეილ კალანდაძე

მთავარი ბუღალტერი:

ლია სუბელიანი

გვერდებზე 10-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

შპს „არქიტრედი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი	სულ
ბალანსი 31.12.2022	870,122	(347,521)	522,601
პერიოდის შედეგი	-	225,089	225,089
კაპიტალის ზრდა	748,463	-	748,463
კაპიტალის შემცირება	(134,185)	-	(134,185)
ბალანსი 31.12.2023	1,484,400	(122,431)	1,361,968
პერიოდის შედეგი	-	164,591	164,591
კაპიტალის ზრდა	177,402	-	177,402
ბალანსი 31.12.2024	1,661,802	42,160	1,703,961

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი:

მიხეილ კალანდაძე

მთავარი ბუღალტერი:

ლია სუბელიანი

გვერდებზე 10-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

შპს „არქთურიდი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

არაპირდაპირი მეთოდი

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან (მოგება)/ზარალი დაბეგვრამდე	164,591	225,089
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	263,454	251,646
საექვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯი	48,737	-
საკურსო სხვაობის ეფექტი	135,157	(81,088)
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	335,720	(1,760,976)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(6,309,001)	(299,144)
გადახდილი ავანსების ზრდა/(შემცირება)	(6,041,293)	(52,658)
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(402,204)	452,167
სხვა გრძელვადიანი აქტივის (ზრდა)/შემცირება	1,858,889	(1,132,228)
სავაჭრო ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება	62,265	287,857
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(35,081)	(14,170)
გადასახდელი ხელფასების ზრდა/(შემცირება)	13,887,395	1,037,748
მიღებული ავანსების (ზრდა)/შემცირება	(18,002)	(9,103)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება	-	(45,194)
ფინანსური იჯარის ვალდებულების ზრდა/(შემცირება)	182,377	(280,039)
წმინდა, ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	4,133,003	(1,420,092)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	(195,661)	(79,737)
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	355
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(530)
ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში საწარმოში	(453,292)	(80,000)
სესხის გაცემა		
წმინდა, ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	(648,953)	(159,913)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან	(3,591,777)	(1,580,674)
სესხის გადახდა	2,071,002	2,463,126
სესხის მიღება	177,402	748,463
კაპიტალის ზრდა	-	(134,185)
კაპიტალის შემცირება		
წმინდა, ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან	(1,343,373)	1,496,730
წმინდა ცვლილება ფულსა და ფულის ექვივალენტებში	2,140,676	(83,273)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	8,707	29,235
საკურსო ოპერაციების ეფექტი ფულად სახსრებზე	(83,470)	62,746
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	2,065,914	8,707

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი:

მიხეილ კალანდამე

მთავარი ბუღალტერი:

ლია სუბელიანი

გვერდებზე 10-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

შპს „არქიტექტიდი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,113,051	3,178,221
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	888,069	445,257
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		630	630
არამატერიალური აქტივები		3,787	6,410
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,005,537	3,630,519
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	6	2,065,915	8,707
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2,194,696	2,574,653
გადახდილი ავანსები	8	7,865,101	1,556,100
მარაგები	9	10,191,608	4,150,315
გაცემული სესხი	10	533,292	80,000
სულ მიმდინარე აქტივები		22,850,611	8,369,775
სულ აქტივები		26,856,149	12,000,294
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		250,421	68,044
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		250,421	68,044
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,119,971	1,174,924
მიღებული ავანსები	14	20,087,711	6,200,316
გადასახდელი ხელფასები		46,754	81,835
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	12	677,229	2,187,367
საგადასახადო ვალდებულება	15	935,255	872,990
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		34,848	52,850
სულ მიმდინარე ვალდებულებები		24,901,768	10,570,282
სულ ვალდებულებები		25,152,189	10,638,326
საწესდებო კაპიტალი	11	1,661,802	1,484,400
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		42,158	(122,431)
სულ კაპიტალი		1,703,960	1,361,968
სულ კაპიტალი და ვალდებულება		26,856,149	12,000,294

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

მიხეილ კალანდაძე

ლია სუბელიანი


გვერდებზე 10-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

შპს „არქიტექტიდი“
მოგება/ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი	16	26,319,241	21,632,423
თვითღირებულება	17	(22,991,317)	(18,973,780)
საერთო მოგება		3,327,924	2,658,642
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	18	(2,945,491)	(2,514,654)
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი		(48,737)	-
სხვა შემოსავალი	19	290,079	280,734
ფინანსური ხარჯი		(439,573)	(245,788)
ფინანსური შემოსავალი		85,641	146,325
არასაოპერაციო ხარჯი		(57,012)	(138,359)
არასაოპერაციო შემოსავალი		86,916	119,277
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(135,157)	(81,088)
წმინდა მოგება		164,591	225,089


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი:



მიხეილ კალანდაძე

მთავარი ბუღალტერი:



ლია სუბელიანი

გვერდებზე 10-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5..


შპს „არქიტრედი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი	სულ
ბალანსი 31.12.2022	870,122	(347,521)	522,601
პერიოდის შედეგი	-	225,089	225,089
კაპიტალის ზრდა	748,463	-	748,463
კაპიტალის შემცირება	(134,185)	-	(134,185)
ბალანსი 31.12.2023	1,484,400	(122,431)	1,361,968
პერიოდის შედეგი	-	164,591	164,591
კაპიტალის ზრდა	177,402	-	177,402
ბალანსი 31.12.2024	1,661,802	42,160	1,703,961

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:




მიხეილ კალანდამე

ლია სუბელიანი

გვერდებზე 10-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

შპს „არქიტორიდი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

არაპირდაპირი მეთოდი

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან (მოგება)/ზარალი დაბეგვრამდე შესწორებები:	164,591	225,089
ცვტა და ამორტიზაცია	263,454	251,646
საექვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯი	48,737	-
საკურსო სხვაობის ეფექტი	135,157	(81,088)
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	4,133,003	(1,420,092)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	335,720	(1,760,976)
გადახდილი ავანსების ზრდა/(შემცირება)	(6,309,001)	(299,144)
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(6,041,293)	(52,658)
სხვა გრძელვადიანი აქტივის (ზრდა)/შემცირება	(402,204)	452,167
სავაჭრო ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება	1,858,889	(1,132,228)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	62,265	287,857
გადასახდელი ხელფასების ზრდა/(შემცირება)	(35,081)	(14,170)
მიღებული ავანსების (ზრდა)/შემცირება	13,887,395	1,037,748
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება	(18,002)	(9,103)
ფინანსური იჯარის ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	-	(45,194)
გრძელვადიანი ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება	182,377	(280,039)
წმინდა, ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	4,133,003	(1,420,092)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	(648,953)	(159,913)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(195,661)	(79,737)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	355
ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში საწარმოში სესხის გაცემა	-	(530)
წმინდა, ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	(453,292)	(80,000)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან	(1,343,373)	1,496,730
სესხის გადახდა	(3,591,777)	(1,580,674)
სესხის მიღება	2,071,002	2,463,126
კაპიტალის ზრდა	177,402	748,463
კაპიტალის შემცირება	-	(134,185)
წმინდა, ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან	(1,343,373)	1,496,730
წმინდა ცვლილება ფულსა და ფულის ექვივალენტებში	2,140,676	(83,273)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	8,707	29,235
საკურსო ოპერაციების ეფექტი ფულად სახსრებზე	(83,470)	62,746
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	2,065,914	8,707

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

მიხეილ კალანდაძე

ლია სუბელიანი

გვერდებზე 10-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არქთრეიდი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 205039180, დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ 2004 წლის 31 აგვისტოს. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., № 71, სართული 2, ოფისი N9.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან:

დასახელება	პირადი ნომერი	% წილი
თეიმურაზ ხოჯავა	01024017928	16%
მიხეილ კალანდაძე	01008001242	50%
დავით აბშილაძე	01009003106	34%

კომპანიის დირექტორია მიხეილ კალანდაძე.

კომპანიას ჰყავს მეკავშირე საწარმო შპს „ეი ენდ ეი ქონსტრაქშენი“, რომელშიც ფლობს 48%-იან წილს.

2021 წლის 13 მარტს დაფუძნდა კომპანია შპს „დი ენდ ეი“ (ს/კ: 405449199), რომლის 50%-იანი წილის მფლობელია შპს „არქთრეიდი“.

2021 წლის 8 აგვისტოს დაფუძნდა კომპანია შპს „კერა ესტიტი“ (ს/კ: 405481811), რომლის 50%-იანი წილის მფლობელია შპს „არქთრეიდი“.

შპს „არქთრეიდი“ ოპერირებს სამშენებლო სფეროში, ასევე არის ავეჯის და შიდა მოსაპირკეთებელი მასალების (კარები, ტიხრები, რბილი იატაკები, განათება, აქსესუარები და ა.შ.) იმპორტიორი საქართველოში. კომპანია ასევე, სპეციალიზირებულია სამუშაო სივრცეების შექმნაზე. კომპანიის მომსახურება მოიცავს: სივრცის კვლევა/შეფასებას, დიზაინის შექმნას, დაგეგმარებასა და 3D ვიზუალიზაციას, შეთანხმებული პროექტების რეალიზაციას. გარდა ამისა, კომპანიის მომსახურების სფერო ასევე მოიცავს: არქიტექტურულ მომსახურებას, ინტეგრირებულ გადაწყვეტილებებს, მონტაჟს, პროექტის მართვასა და საფასადო სამუშაოებს.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს გადახდილ ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით. რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული ფულადი ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 3-დან 12 თვემდე ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, ბალანსზე აღიარდება როგორც შეზღუდული ფულადი სახსრების ექვივალენტები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ფასდება გარიგების ფასით, ხოლო ისეთი მოთხოვნები, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს. თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება

მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისთვის:

სასარგებლო ვადა (წელი)	
შენობა-ნაგებობები	30
სატრანსპორტო საშუალებები	5-15
მანქანა-დანადგარები	3-25
ელექტრონული მოწყობილობები	3-25

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

შემოსავლის აღიარება

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ

კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს ფასეულობების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო ფასეულობების არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

გადახდილი ავანსები

ავანსები აღირიცხება გარიგების ღირებულებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურებების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება აღიარდება პერიოდის ხარჯად.

მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები აღირიცხება გარიგების ღირებულებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიწოდება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ.

საწესდებო კაპიტალი

ინვესტიციები საწარმოში აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღირიცხულია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი გაუფასურების მეკავშირე საწარმოდან დივიდენდის შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ძალაში შევა კომპანიის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ და აისახება, როგორც სხვა შემოსავალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის

შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

შესადარისი პერიოდის რეკლასიფიკაცია

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოახდინა წინა წლის მიღებული და გაცემული ავანსებისა და სხვა საგადასახადო აქტივების მუხლის რეკლასიფიკაცია. კერძოდ, სხვა საგადასახადო აქტივების მუხლში მოცემული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები გადაიხურა მიღებული და გაცემული ავანსების მუხლებში. ხსენებულმა რეკლასიფიკაციამ გამოიწვია სხვა საგადასახადო აქტივების მუხლის რეკლასიფიკაცია საგადასახადო ვალდებულებების მუხლში. ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია გაუნაწილებელ მოგებაზე. შესაბამისად, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არის საჭირო შესადარისი პერიოდის გადაანგარიშება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის შეფასება საგადასახადო ორგანოების შეფასებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს და ამან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოთა მიერ ტრანზაქციების ექვემდებარება, რის გამოც კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მან გადაიხადა საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
ღირებულება							
ბალანსი 31.12.2022	1,306,689	2,731,616	162,367	173,059	421,730	29,511	4,824,972
შეძენა	-	65,740	17,434	4,653	-	548	88,375
ჩამოწერა	-	(21,271)	(12,588)	-	-	-	(33,859)
ბალანსი 31.12.2023	1,306,689	2,776,085	167,214	177,711	421,730	30,058	4,879,488
შეძენა	-	133,868	57,997	40,374	-	1,193	233,433
ჩამოწერა	-	(42,773)	-	(399)	-	-	(43,173)
ბალანსი 31.12.2024	1,306,689	2,867,180	225,211	217,686	421,730	31,251	5,069,748
ცვეთა							
ბალანსი 31.12.2022	(290,664)	(952,185)	(51,312)	(66,596)	(116,831)	-	(1,477,588)
ცვეთა	(42,217)	(151,536)	(16,018)	(12,269)	(25,452)	-	(247,492)
ჩამოწერა	-	17,834	5,981	-	-	-	23,815
ბალანსი 31.12.2023	(332,882)	(1,085,888)	(61,348)	(78,865)	(142,282)	-	(1,701,265)
ცვეთა	(43,556)	(170,357)	(14,725)	(15,602)	(25,452)	(119)	(269,810)
ჩამოწერა	-	14,232	-	149	-	-	14,381
ბალანსი 31.12.2024	(376,438)	(1,242,013)	(76,073)	(94,318)	(167,734)	(119)	(1,956,694)
ბალანსი 31.12.2022	1,016,024	1,779,431	111,055	106,463	304,900	29,511	3,347,384
ბალანსი 31.12.2023	973,807	1,690,197	105,865	98,847	279,448	30,058	3,178,222
ბალანსი 31.12.2024	930,251	1,625,166	149,139	123,368	253,996	31,132	3,113,054

5. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სახელშეკრულებო აქტივი	888,069	445,257
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	888,069	445,257

სახელშეკრულებო აქტივი მოიცავს კლიენტების მიერ კომპანიისთვის დაკავებულ თანხებს. აღნიშნულ თანხებს კომპანია მიიღებს ხელშეკრულების პირობების სრულად შესრულების და საგარანტიო პერიოდის გასვლის შემდეგ. დასაკავებელი თანხები განისაზღვრება ყოველი შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5% ოდენობით.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	433,199	8,307
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,632,212	-
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	503	400
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,065,915	8,707

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არა სარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

საბანკო გარანტიის შესახებ ინფორმაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შპს „არქიტექტი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ვალუტა	თანხა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
USD	166,448	4/12/2023	4/5/2025
USD	1,000,000	12/3/2024	5/5/2025
EUR	176,794	6/12/2024	3/10/2025
USD	1,855,531	16/04/2021	31/07/2026
USD	1,700,000	18/09/2024	30/09/2025

საბანკო გარანტიის შესახებ ინფორმაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ვალუტა	თანხა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
GEL	12,499	10/03/2023	28/02/2024
USD	29,864	10/25/2023	03/25/2024
EUR	11,649	11/15/2023	02/08/2024
USD	1,050,000	12/04/2023	5/04/2025

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო მოთხოვნები	2,474,502	2,796,562
მოთხოვნა თანამშრომლების მიმართ	-	82,143
სხვა მოთხოვნები	72,983	-
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვი	(352,789)	(304,052)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,194,696	2,574,653

სავაჭრო მოთხოვნის ნაშთები საკრედიტო ხარისხის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ვადაგადაცილებული დღეები 31.12.2024	რეზერვის განაკვეთი	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეზერვამდე	რეზერვის თანხა
360 დღეზე მეტი	100%	320,656	320,656
181-დან-360-მდე	50%	25,654	12,827
91-დან-180-მდე	25%	21,746	5,436
61-დან-90-მდე	5%	18,123	906
31-დან-60-მდე	2%	40,620	812
გაუფასურებაზე ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები	1%	1,215,127	12,151
0-დან-30-მდე	0%	838,766	-
სულ		2,480,692	352,789

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ვადაგადაცილებული დღეები 31.12.2023	რეზერვის განაკვეთი	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეზერვამდე	რეზერვის თანხა
360 დღეზე მეტი	100%	290,042	290,042
181-დან-360-მდე	50%	4,688	2,344
91-დან-180-მდე	25%	25,864	6,466
61-დან-90-მდე	5%	45,974	2,299
31-დან-60-მდე	2%	145,081	2,902
0-დან-30-მდე	0%	2,284,913	-
სულ		2,796,562	304,052

8. გადახდილი ავანსები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მოძღვრებაზე გადახდილი ავანსები	7,610,839	1,517,371
სხვა წინასწარ გადახდილი ავანსები	254,262	5,610
თანამშრომლებზე გაცემული ავანსი	-	33,120
სულ გადახდილი ავანსები	7,865,101	1,556,100

გადახდილი ავანსების ძირითადი ნაწილი მოიცავს არარეზიდენტი კომპანიის მიმართ წინასწარ გადახდილ თანხებს. აღნიშნული წინასწარ გაწეული ხარჯები განკუთვნილია სამშენებლო პროექტებისთვის შესყიდული მასალების იმპორტირებისთვის

9. მარაგები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მასალები	4,323,023	2,456,626
დაუმთავრებელი მშენებლობა	5,143,282	965,785
ავეჯი	722,292	722,451
საწვავი	3,011	5,453
სულ	10,191,608	4,150,315

მასალების ძირითადი ნაწილი შეძენილია იმპორტით. ყველაზე მსხვილი იმპორტიორია SCHUECO INTERNATIONAL KG. მასალების იმპორტი ხორციელდება გერმანიიდან.

10. გაცემული სესხი

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მეკავშირე საწარმოზე გაცემული სესხი	-	80,000
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხი	533,292	-
სულ	533,292	80,000

დეტალური ინფორმაცი მოცემული ცხრილში:

31/12/2024

ხელშეკრულების #	კონტრაგენტი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	ვალუტა	თანხა ორიგინალ ვალუტაში	პროცენტი	თანხა ლარში 31.12.2023	თანხა ლარში 31.12.2024
N0512/24	შპს "დეკო ქონსტრაქშენი"	12/5/2024	3/5/2025	USD	270,000	9%	-	533,292
#12/27/2023	შპს "ემ-ი-პი" სოლუმენს	12/27/2023	1/27/2024	GEL	80,000	18%	80,000	-
							80,000	533,292

11. საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალის საბოლოო ნაშთი შეადგენს 870,122 ლარს. 2023 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში მომხდარი წმინდა ზრდა შეადგენს 614,278 ლარს. შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი არის 1,484,400 ლარი. 2024 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 177,402 ლარით და შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,661,802 ლარს.

12. გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	-	573,322
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხები	582,315	1,551,919
გადასახდელი პროცენტი	94,914	62,126
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	677,229	2,187,366

ქვემოთ მოცემულ ცხრილში იხილეთ დეტალური ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კონტრაგენტი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	სესხი თანხა	ვალუტა	პროცენტი	ბალანსი ლარში 31.12.2024
მეკავშირე საწარმო	5/6/2021	12/31/2025	44,000	GEL	13.4%	(44,000)
მეკავშირე საწარმო	3/9/2021	12/31/2025	144,500	GEL	12.7%	(162,695)
მეკავშირე საწარმო	11/24/2021	12/31/2025	49,500	GEL	12.7%	(49,600)
მეკავშირე საწარმო	12/28/2021	12/31/2023	418,656	GEL	0.0%	(26,020)
მეკავშირე საწარმო	10/30/2024	1/31/2025	300,000	GEL	18%	(300,000)
						(582,315)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კონტრაგენტი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	სესხი თანხა	ვალუტა	პროცენტი	ბალანსი ლარში 31.12.2023
მეკავშირე საწარმო	5/6/2021	12/31/2024	44,000	GEL	13.4%	(58,774)
მეკავშირე საწარმო	3/9/2021	12/31/2024	144,500	GEL	12.7%	(220,231)
მეკავშირე საწარმო	11/24/2021	12/31/2024	49,500	GEL	12.7%	(57,824)
ფინანსური ინსტიტუტი	8/21/2020	8/21/2024	545,000	GEL	13.2%	(94,359)
ფინანსური ინსტიტუტი	9/7/2023	2/7/2024	105,000	GEL	10-15%	(41,124)
ფინანსური ინსტიტუტი	6/16/2023	6/16/2024	155,000	USD	10-15%	(209,546)
ფინანსური ინსტიტუტი	9/15/2023	9/15/2024	105,000	EUR	10-15%	(228,293)
იურიდიული პირი	11/14/2023	11/14/2024	134,850	GEL	12.1%	(536,850)
იურიდიული პირი	9/26/2023	9/26/2024	38,000	USD	5.0%	(102,197)
იურიდიული პირი	10/5/2023	10/5/2024	107,000	EUR	5.1%	(318,357)
მეკავშირე საწარმო	12/28/2021	12/31/2023	418,656	GEL	0.0%	(257,686)
						(2,125,241)

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ვალდებულებები რეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	3,119,971	1,147,310
ვალდებულებები არარეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	-	27,614
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,119,971	1,174,923

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია სამშენებლო საქმიანობისთვის საჭირო სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენასთან, როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი მომწოდებლებისაგან.

14. მიღებული ავანსები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	20,087,711	6,200,316
სულ მიღებული ავანსები	20,087,711	6,200,316

რიგ შემთხვევაში, მომხმარებლის მიერ გადახდილი ავანსი დაზღვეულია ბანკის საავანსო გარანტიებით, რომელიც უზრუნველყოფს კონტრაქტორს ავანსად გაცემული თანხის დაბრუნებით იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელმა არადაინიშნულებისამებრ განკარგა მიღებული თანხა.

15. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულების ძირითადი ნაწილი დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადთან. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულება შეადგენს 872,990 ლარს. ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 935,255 ლარს.

16. შემოსავალი

	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი სამშენებლო საქმიანობიდან	25,895,805	21,282,992
სხვა შემოსავლები	423,436	349,431
სულ შემოსავალი სამშენებლო საქმიანობიდან	26,319,241	21,632,423

17. თვითღირებულება

	2024 წ.	2023 წ.
ძირითადი მასალები	9,027,442	6,224,058
მომსახურების ხარჯი	4,924,367	7,047,288
პირდაპირი ხელფასი	7,576,482	4,851,033
ზედნადები ხარჯები	38,279	52,102
დაზღვევა	-	33,122
ცვეთის ხარჯი	147,509	140,595
სხვა ხარჯები	675,983	119,377
იჯარის ხარჯი	396,200	359,989

შპს „არქთრედი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

რემონტის ხარჯი	130,644	65,876
მიწოდების ხარჯი	41,411	39,835
კომუნალური ხარჯი	33,001	40,507
სულ თვითღირებულების ხარჯი	22,991,317	18,973,780

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024 წ.	2023 წ.
ხელფასი	1,952,980	1,536,619
ცვეთის ხარჯი	115,945	111,051
კომუნიკაციის ხარჯი	63,295	46,661
საბანკო გარანტიები	353,515	397,468
სადაზღვევო ხარჯი	24,622	37,346
კომუნალური ხარჯი	22,811	27,735
სამეურნეო ხარჯი	36,473	24,989
საგადასახადო ხარჯი	74,954	120,111
საბანკო მომსახურება	55,788	17,081
სხვა ხარჯები	104,898	73,304
იჯარის ხარჯი	19,394	18,511
საკონსულტაციო ხარჯი	19,700	17,684
მივლინების ხარჯი	101,115	86,093
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	2,945,491	2,514,654

19. სხვა შემოსავალი

შპს „არქთრედი“ 50% წილს ფლობს შპს „ემ-ი-პი სოლუშენს“ – ში. სხვა შემოსავალი შედგება შპს „ემ-ი-პი სოლუშენს“ – ისგან მიღებული დივიდენდებისგან.

ცხრილის სახით იხილეთ მიღებული დივიდენდის შესახებ ინფორმაცია:

თვე	გამცემი	თანხა
8/23/2024	შპს "ემ-ი-პი სოლუშენს"	290,079
		290,079

თვე	გამცემი	თანხა
13/01/2023	შპს "ემ-ი-პი სოლუშენს"	134,185
10/02/2023	შპს "ემ-ი-პი სოლუშენს"	7,062
23/06/2023	შპს "ემ-ი-პი სოლუშენს"	65,650
14/12/2023	შპს "ემ-ი-პი სოლუშენს"	73,837
		280,734

20. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი. აქედან გამომდინარე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანაფლობილები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუუმებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

მენეჯმენტის ანაზღაურება		2024 წ.
დამფუძნებლების ანაზღაურება		577,991
დირექტორის/დამფუძნებლის ანაზღაურება		874,338
მენეჯმენტის ანაზღაურება		2023 წ
დამფუძნებლების ანაზღაურება		405,709
დირექტორის/დამფუძნებლის ანაზღაურება		481,522
დასახელება	ოპერაციის შინაარსი	31-დეკ-2024
საბალანსო მუხლები		
მეკავშირე საწარმო	კრედიტორული დავალიანება	485,699
მეკავშირე საწარმო	მიღებული სესხები	582,315
მეკავშირე საწარმო	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,215,127
მეკავშირე საწარმო	სხვა გრძელვადიანი ვალდებულება	158,479
მეკავშირე საწარმო	ინვესტიციები	630
მოგება/ზარალის მუხლები		2024 წ.
შემოსავალი		1,395,317

შპს „არქიტორედი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მეკავშირე საწარმო	მიღებული დივიდენდი	290,079
მეკავშირე საწარმო	ფინანსური ხარჯი	59,026

დასახელება	ოპერაციის შინაარსი	31-დეკ-2023
საბალანსო მუხლები		
მეკავშირე საწარმო	კრედიტორული დავალიანება	462,575
მეკავშირე საწარმო	მიღებული სესხები	570,051
მეკავშირე საწარმო	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	758,524
მეკავშირე საწარმო	სხვა გრძელვადიანი ვალდებულება	26,144
მეკავშირე საწარმო	ინვესტიციები	630
მოგება/ზარალის მუხლები		2023 წ.
მეკავშირე საწარმო	შემოსავალი	7,236,513
მეკავშირე საწარმო	მიღებული დივიდენდი	280,734
მეკავშირე საწარმო	ფინანსური ხარჯი	107,658

22. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაცემამდე, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს „არქთრეიდი“

2024 წლის მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

1.	კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა	3
2.	კომპანიის მმართველობითი ორგანოები.....	3
3.	კომპანიის კაპიტალი	4
4.	ფინანსური მაჩვენებლები	4
5.	რისკ-ფაქტორები.....	7
6.	კორპორაციული მართვის ანგარიშგება	8

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „არქთრედი“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ კომპანიას, რომელიც დაფუძნებულია 2004 წლის 31 აგვისტოს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 205039180 მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., № 71, სართული 2, ოფისი N9 . 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლებს წარმოადგენენ: თეიმურაზ ხოჯავა პ/ნ 01024017928 - 16%; მიხეილ კალანდაძე, პ/ნ 01008001242 - 50%; დავით აბილაშვილი პ/ნ 01009003106 - 34%; კომპანიის დირექტორია მიხეილ კალანდაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს, სამშენებლო-სარემონტო, საოფისე ინვენტარისა და ალუმინის თერმოიზოლირებული მასალისგან ნაკეთობათა სამუშაოების წარმოება. კომპანია დამკვეთებს სთავაზობს შენობების მშენებლობის სრულ სპექტრს საძირკვლიდან სახურავის დასრულებამდე, მათ შორის ფასადის დამონტაჟება, MEP და BMS სამუშაოები, მოპირკეთება და დეკორაციები, FF&E-ის მიწოდება და მონტაჟი, სავაჭრო ცენტრების, ბიზნეს ცენტრების გაშენება და ა.შ.. კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოები გამოირჩევა მაღალი ხარისხით, რისი დასტურიც გახლავთ ქ. თბილისში კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები – საქართველოს ბანკის, თიბისი ბანკისა და პროკრედიტ ბანკის სათაო ოფისების რემონტი (შენობის გარე ფასადების ჩათვლით) და ბანკების ოფისების ინვენტარით აღჭურვა. დღეის მდგომარეობით კომპანიას საოფისე ინვენტარის მიწოდებისა და სარემონტო სამუშაოთა წარმოებათა სეგმენტის ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უკავია, რადგანაც მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევით, კონკურენციის მიუხედავად ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას.

2. კომპანიის მმართველობითი ორგანოები

- ❖ პარტნიორთა კრება
- ❖ დირექტორი

კომპანიის მართვა ხორციელდება საზოგადოების წესდებით:

პარტნიორთა კრების ფუნქციებია:

- ✓ საზოგადოების გეგმებისა და სოციალური განვითარების საერთო მიმართულებებისა და საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- ✓ ფილიალებისა და სხვა განცალკავებული ქვედანაყოფების შექმნა, რეორგანიზაცია, საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია), კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა;
- ✓ დირექტორის დანიშვნა და გამოწვევა, მასთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა;
- ✓ წმინდა მოგების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღება.

დირექტორის ფუნქციებია:

- ✓ კომპანიის წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- ✓ კომპანიის მიმდინარე საკითხების განხილვა/გადაწყვეტა;
- ✓ რგოლებს შორის კოორდინაცია/კომუნიკაცია;
- ✓ მიმდინარე გეგმების განხილვა;
- ✓ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი.

კომპანიის მართვის ზოგადი სტრუქტურა:

- კომპანიის დირექტორი
- სარემონტო-სამშენებლო განყოფილება
- გაყიდვებისა და შესყიდვების განყოფილება
- ფინანსებისა და აღრიცხვის განყოფილება

კომპანიის სტრუქტურა ისეა მოწყობილი რომ სხვადასხვა განყოფილებებს შეუძლიათ სინქრონულად იმუშავონ. მაქსიმალურად დაზღვეულია ადამიანური შეცდომების რისკები, რადგანაც თითოეული პროცესი შიდა კონტროლის რამდენიმე საფეხურს გადის.

3. კომპანიის კაპიტალი


კომპანიის ზოგადი სტრატეგია დაფუძნებულია უცვლელია. კომპანიის საბრუნავი კაპიტალის სტრუქტურა შედგება წმინდა სესხისგან და კომპანიის კაპიტალისგან (კაპიტალი), რომელიც იზრდება ყოველწლიურად სანგარიშო პერიოდის მოგებით.

4. ფინანსური მაჩვენებლები

აქტივები


კომპანიის აქტივები კლასიფიცირდება გრძელვადიან და მიმდინარე აქტივებად. ჯამური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 26,856,149 ლარის ოდენობით.

კომპანიის აქტივების ბოლო სამი წლის მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:



*თანხები მოცემულია ლარში

მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები 2024, 2023 და 2022 წლის მდგომარეობით:




*თანხები მოცემულია ლარში

ვალდებულებები

კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების ძირითადი ნაწილი მოიცავს მიღებულ ავანსებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. გრძელვადიანი ვალდებულებები შედგება სასესხო ვალდებულებისა და ფინანსური იჯარისგან.

გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებების ბოლო სამი წლის მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ დიაგრამის სახით:




*თანხები მოცემულია ლარში

ლიკვიდურობის კოეფიციენტი


კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების მიხედვით ლიკვიდურობის კოეფიციენტი არის 0.92.

$$\text{ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{22,850,611}{24,901,768} = 0.92$$




შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2024 წელს 2023 წელთან შედარებით გაზრდილია. 2024 წელს კომპანიის შემოსავალი იყო 26,319,241 ლარი. 2023 წელთან შედარებით შემოსავალი 4,686,818 ლარით არის გაზრდილი.



საერთო მოგება

კომპანიის საერთო მოგებამ 2024 და 2023 წლებში შეადგინა შესაბამისად, 3,327,924 ლარი და 2,658,642 ლარი.



*თანხები მოცემულია ლარში

5. რისკ-ფაქტორები

კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- ❖ რთული გლობალური ეკონომიკური პირობები;
- ❖ მეზობელ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა;
- ❖ ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა;
- ❖ ქვეყნის შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა;
- ❖ ახალი რეგულაციები სამშენებლო სფეროში;
- ❖ ახალი საბანკო რეგულაციები;
- ❖ შრომის უსაფრთხოების რეგულაციები;

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას იქონიებს კომპანიის დაკვეთებზე. კომპანიის საოპერაციო ხარჯების გარკვეული ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული ან დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაზე. თუმცა შემოსავლის დიდ ნაწილს კომპანია იღებს აშშ დოლარის ექვივალენტში, რადგან მისი მომსახურეობის ძირითადი ნაწილი მოდის წინასწარ მიღებულ ავანსებზე, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში. ეს გარკვეულწილად აბალანსებს კომპანიის სავალუტო რისკებს. თუმცა სავალუტო რისკები უარყოფითად აისახება თავად მომსახურეობის მიწოდებაზე, რადგან კურსის რყევის პირობებში დამკვეთს ხელი ეშლება გააკეთოს გააზრებული არჩევანი, რადგან ვერ აფასებს სამომავლო რისკებს.

თუმცა კომპანიამ მოახერხა დამკვეთისადმი ხელსაყრელი პირობების შეთავაზება პარტნიორ ბანკებთან თანამშრომლობის გზით, რამაც აღნიშნული უარყოფითი ეფექტი შეასუსტა და გაანეიტრალა.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად რისკს წარმოადგენს დებიტორების მიერ დავალიანებების არ გადახდა. აღნიშნული რისკის ალბათობა და კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედების მასშტაბები გაანალიზებულია და აღნიშნულის შესამცირებლად შემუშავებულია შესაბამისი ხელშეკრულებები და ასევე დანერგილია ოპერატიული მონიტორინგის სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანია ოპერატიულად იღებს ინფორმაციას, როდესაც დებიტორის დავალიანება უახლოვდება სარისკო ნიშნულს, ასევე გადახდის ვადის ვადაგადაცილების შესახებ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის საფუძველზე ტარდება შესაბამისი ღონისძიებები ვალის ამოღებასთან დაკავშირებით.

6. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა:

კომპანიის კორპორატიული მართვის კოდექსის მიზანია საზოგადოების კორპორატიული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, ჰარმონიზაცია საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორატიულ სტანდარტებთან და პრინციპებთან, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, პარტნიორთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან. კომპანია აცხადებს მზაობას ყოველივე ზემოაღნიშნული განახორციელოს შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- თანასწორობა - თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა პარტნიორის თანაბარ შესაძლებლობას დაიცვას მისი სამართლებრივი თუ ბიზნეს ინტერესები და უფლებები, რისთვისაც კომპანიაში იარსებებს ქმედითი მექანიზმი. გაუგებრობის გამოსარიცხად;
- კომპანიის მართვაში ჩართულობა და ინფორმირებულობა - პარტნიორისათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს პარტნიორთა კრებებში, დროულად მიიღოს ინფორმაცია საერთო კრების გამართვის შესახებ, ასევე საერთო კრებაში მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში, წერილობით წარადგინონ თავიანთი პოზიცია, ამასთანავე დროულად მიეწოდოს ინფორმაცია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, ასევე მიიღონ ნებისმიერ სხვა ინფორმაცია დროულად, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე;
- გამჭვირვალობა - უზრუნველყოფილია კომპანიის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის ფინანსური და ეკონომიკური, საკუთრებისა და მართვის შესახებ, ასევე ბაზარზე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გახსნის მექანიზმის ეფექტური არსებობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა, რათა პარტნიორებსა და პოტენციური ინვესტორებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად;
- თანამშრომელთა ჩართულობა - უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების მით უფრო კომპანიის თანამშრომლების ჩართულობა კომპანიის საქმიანობაში, კომპანიის აქტივების ზრდისათვის, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

შპს „არქთრეიდი“

დირექტორი

მიხეილ კალანდაძე

30 სექტემბერი, 2025 წელი

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად რისკს წარმოადგენს დებიტორების მიერ დავალიანებების არ გადახდა. აღნიშნული რისკის ალბათობა და კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედების მასშტაბები გაანალიზებულია და აღნიშნულის შესამცირებლად შემუშავებულია შესაბამისი ხელშეკრულებები და ასევე დანერგილია ოპერატიული მონიტორინგის სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანია ოპერატიულად იღებს ინფორმაციას, როდესაც დებიტორის დავალიანება უახლოვდება სარისკო ნიშნულს, ასევე გადახდის ვადის ვადაგადაცილების შესახებ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის საფუძველზე ტარდება შესაბამისი ღონისძიებები ვალის ამოღებასთან დაკავშირებით.

6. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა:

კომპანიის კორპორატიული მართვის კოდექსის მიზანია საზოგადოების კორპორატიული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, ჰარმონიზაცია საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორატიულ სტანდარტებთან და პრინციპებთან, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, პარტნიორთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან. კომპანია აცხადებს მზაობას ყოველივე ზემოაღნიშნული განახორციელოს შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- თანასწორობა - თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა პარტნიორის თანაბარ შესაძლებლობას დაიცვას მისი სამართლებრივი თუ ბიზნეს ინტერესები და უფლებები, რისთვისაც კომპანიაში იარსებებს ქმედითი მექანიზმი. გაუგებრობის გამოსარიცხად;
- კომპანიის მართვაში ჩართულობა და ინფორმირებულობა - პარტნიორისათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს პარტნიორთა კრებებში, დროულად მიიღონ ინფორმაცია საერთო კრების გამართვის შესახებ, ასევე საერთო კრებაში მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში, წერილობით წარადგინონ თავიანთი პოზიცია, ამასთანავე დროულად მიეწოდოს ინფორმაცია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, ასევე მიიღონ ნებისმიერ სხვა ინფორმაცია დროულად, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე;
- გამჭვირვალობა - უზრუნველყოფილია კომპანიის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის ფინანსური და ეკონომიკური, საკუთრებისა და მართვის შესახებ, ასევე ბაზარზე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გახსნის მექანიზმის ეფექტური არსებობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა, რათა პარტნიორებსა და პოტენციური ინვესტორებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად;
- თანამშრომელთა ჩართულობა - უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების მით უფრო კომპანიის თანამშრომლების ჩართულობა კომპანიის საქმიანობაში, კომპანიის აქტივების ზრდისათვის, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

შპს „არქთრეიდი“

დირექტორი

30 სექტემბერი, 2025 წელი



მიხეილ კალანდაძე